პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის ფასი-40 წელი № 97 (11708) | კვირა, 24 აპრილი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბაქოში გაემგზავრა

თბილისი, 23 აპრილი. (საკუთარი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვი** გაგრიდან, სადაც იგი ატარებდა შვებულებას, მატარებლით გაემგზავრა ქალაქ ბაქოში აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისალებად.

ნ. ს. ხრუშჩოვი მცირე ხნით გაჩერდა თბილისში, იმოგზაურა ქალაქში, ხოლო შემდეგ შეხვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკებს.

საქართველოს დედაქალაქში, აგრეთვე სოხუმის, სამტრედიის, ხაშურისა და სხვა სადგურებში, სადაც მატარებლის გაჩერება იყო, მშრომელები გულითადად მიესალმებოდნენ **ნ. ს. ხრუშჩოვს.**

რესპუბლიკაში გზად გავლის დროს **ნ. ს. ხრუშჩოვს** ახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.



აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის დაარსების 40 წლისთავი!

გუშინ ბაქოში

გუშინ საღამოს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ბაქოში „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქციას, საიდანაც გვაცნობეს:

— აქ ისეთი კარგი მზიანი ამინდებია, რომ თითქოს ბუნებასაც კი სურს მონაწილეობა მიიღოს აზერბაიჯანელი მშრომელების სახალხო დღესასწაულში. რესპუბლიკის ტექნიკური ინტელიგენცია, ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები, კოლმეურნეები ძალღონეს არ იშურებდნენ, რათა საუკეთესო მაჩვენებლებით აღენიშნათ ეს დიდი თარიღი. ამიტომაც არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 109 პროცენტით შეასრულა.

მათ არც სოფლის მეურნეობის მუშაკები ჩამორჩნენ.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავს მიეძღვნება აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, რომელიც 25 აპრილს გაიმართება. 26 აპრილს აზერბაიჯანის ი. ბ. სტალინის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე მოეწყობა მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი.

რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს დიდი თარიღისადმი მიძღვნილი მშრომელთა სახელიმო კრებები.

აზერბაიჯანის ეროვნულმა კულტურამ ფრთები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშალა. აყვავდა მისი ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება. აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობამ მრავალათასიანი ტირაჟით გამოსცა უდიდესი მოაზროვნის, ერის სიამაყის, აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსის ნიზამის თხზულებანი. გამოიცა აგრეთვე მწერლების სამად ვურღუნის, მეხდი ჰუსეინის, რასულ რზას და სხვა საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები.

მკითხველებმა დღეს კარგი საჩუქარი მიიღეს — აზერბაიჯანულ ენაზე გამოვიდა კრებული „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აზერბაიჯანის შესახებ.“ რუსულად გამოიცა კრებული, რომელშიც შეტანილია ძველი რევოლუციონერების მოგონებები აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის შესახებ.

მირზა ფატალი ახუნდოვის სახელობის ლენინის ორდენოსან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ამ დღეებში უჩვენებენ აზერბაიჯანელი კომპოზიტორების ოპერებსა და ბალეტებს. მათ შორის დიდი მოწონებით სარგებლობს ოპერები „ქორ-ოღლი“, „სევილი“ და ბალეტი „შვიდ მზეთუნახავი“. როგორც აზერბაიჯანულ, ისე რუსულ დრამის თეატრებში იდგმება აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებისადმი მიძღვნილი სპექტაკლები.

ბაქოს კინოთეატრებში მიმდინარეობს „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის კინოფესტივალი“. უჩვენებენ მოსკოვის, ლენინგრადის და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კინოსტუდიების მიერ შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებებს. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ წარმოდგენილია „მაია წყნეთელი“.

გუშინ ს. მ. კიროვის სახელობის ცენტრალურ პარკში, ნიზამის და ფ. ძერჟინსკის სახელობის პარკებში გაიხსნა საგაზაფხულო სეზონი, იმართება დიდი სახალხო სეირნობები.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით ბაქოში უკვე ჩამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციები.

ჩვენი გაზეთის ხვალინდელი ნომერი საზეიმოა. მასში მოთავსებული იქნება ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ზ. იბრაგიმოვას ვრცელი სტატია „კომუნისტური პარტია — აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ორგანიზატორი“, სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ რასულ რზას პუბლიცისტური წერილი „წინ!“, მ. ლილბაზის და ო. სარიველის ლექსები, აგრეთვე დაიბეჭდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების, მეცნიერების, სტუდენტების, მოსწავლეების წერილები.

მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს. ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ ყოფილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.

ვ. ი. ლენინი.

წერილიდან „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ — კომუნისტებს“ 14 აპრილი 1921 წელი.

რა ჯობია ს. მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკიდან გადმოხედვას. აქედან თქვენს წინ გადაიშლება საბჭოთა აზერბაიჯანის დედაქალაქის წარმტაცი პანორამა.

„გზა. ყველაზე შესანიშნავია ბაქო. კოშკურები, ცისტერნები, ძვირფასი სუნამო — ნავთობი, ხოლო მის იქით ტრამალი“. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა პატარა ვალოდია მაიაკოვსკიზე ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ბაქომ. მაგრამ გავიდა წლები. საბჭოთა ხელისუფლებამ უფრო ლამაზი, მიმზიდველი გახადა, იგი მსოფლიოს უდიდესი ქალაქების გვერდით დააყენა.

სახელოვან თარიღს აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო გალაღებული და კეთილი გულით ხვდება. მისი კარები ღიაა სასურველი სტუმრებისათვის.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

სალამი მოძმე აზერბაიჯანს!

არის ერთი სურათი, მეტად ტრაგიკული და დაუვიწყარი. ალბათ ჩვენი ეპოქის ადამიანს ყველას უნახავს იგი... კასპიის ზღვის ნაპირას ქარისაგან გაფერანგებულ ტრამალზე ორმოა ამოთხრილი. ორმოს ძირზე მოსჩანს გადამთიელი ჯალათის საზიზღარი, დემონივით ნაშავებული სახე... ღელავს კასპიის ზღვა, ღელავს მგზნებარე ოქტომბრების ერთი მიზნით მფეთქავი 26 გული, რევოლუციის გენიით ანთებული და სხივადქცეული. სისხლი მოჩქეფს გმირთა ტყვრდიდან, ნატყვიარი შუბლიდან, მაგრამ მათ თვალებში მოციაფე სხივები მეტყველებენ, რომ სიკვდილი დამარცხებულია, რომ ეროვნითარი ბნელი ძალა ვერ შეაჩერებს ოქტომბრის მზეს, ამობრწყინდეს, დიდება მოუტანოს ამერკავკასიის ხალხებს.

და მართლაც ოქტომბრის ნათელი მზე, რომლის ჩაქრობა ასე გულით სურდათ რევოლუციის მტრებს, სამუდამოდ აკაშკაშდა ბაქოში, მთელს აზერბაიჯანში. ხალხმა თავისუფლებამ, რომლისთვისაც ერთად, ძმურად იბრძოდნენ ამერკავკასიის ხალხთა სახელოვანი შვილები — შაუმიანი და ნარიმანოვი, ფიროსმანი, ფიროსმანიძე, ფიროსმანიანი, ფიროსმანოვი, ფიროსმანოვი, ფიროსმანოვ

აზერბაიჯანში ქარგად იცნობენ ახალგაზრდა ინჟინერს ლატიფა ჯაფაროვას. ნავთობმომპოვებელთა ბრიგადას, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, შრომაში მაღალი მოლწევებისათვის მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი. ბრიგადის წევრებმა ვალდებულება აიღეს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ ათობით ტონა ნავთობი.

სურათზე: ლ. ჯაფაროვა.

ფოტო გ. ჰუსეინზადესი.

ეს მომძე საბჭოთა აზერბაიჯანია

ჩვენი მეგობრობა

ნიცლიანი დილა იყო. ზღვაში 4-5 ბალიანი ქარი მძვინვარებდა. შორს, ზღვის სიღრმეში აგორებული ტალღები დიდი სისწრაფით მოექანებოდნენ ნაპირისაკენ, სანაპირო კლდეებს ეხლებოდნენ და უთვალავ შეეფვებად იფანტებოდნენ. უკვე დიდი ხანია ჩვეულებად იქცა, რომ ზღვაზე მომუშავე ჩვენი მენავთობეები ზღვაში გადიან ყოველგვარ ამინდში, ხოლო როცა მათს ნახელავს ხედავთ, უყურებ მათს ბედნიერ და ვაჟკაცურ სახეებს, გჯერა, რომ ეს ახლის შემოქმედნი ზღვაზეც და მძვინვარე გრიგალზეც ძლიერნი არიან.

ბაქოდან ნავთობის ქვებამდე სულ ექვსი საათის სავალია გემით. როცა გემი ნავთობის ქვებს მიადგება, ადამიანები გამოდიან გემბანზე, ათვალიერებენ შუა ზღვაში აგებულ ლეგენდარულ ქალაქს და ვერ მალავენ აღტაცების გრძნობას. ეს გასაგებიც არის. ეს ადგილი ხომ საქვეყნოდ არის ცნობილი.

როგორც ჩვეულებრივ ქალაქში აქაც ჩქეფს ცხოვრება. დაუსრულებელ ნაკადად მოდიან ავტომობილები, მოტომფლები, მძლავრი ამწეები. აქ რიგითი შოფერი დღეში გადის 200-250 კილომეტრის ოდენ გზას და ამაყობს ამით. ისინი მართალი არიან. ხუმრობა ხომ არ არის, ისინი ზღვაში მუშაობენ. ოდნავ შეცდომას, უყურადღებობას შეუძლია გამოიწვიოს უბედურება, ადამიანთა დაღუპვა.

საოცარია, ზღვაზე რომ ხარ, ვერა გრძნობ აქაური ადგილების წყლის სიღრმეს.

მენავთობეები თითქოს არ გრძნობენ, რომ ზღვაზე არიან, რადგან სამშობლომ მათ შეუქმნა ყველა საჭირო პირობა, მისცა მათ სრულყოფილი ტექნიკა. ამჟამად აქ 18 ორსართულიანი საერთო საცხოვრებელია, მდიდარი ბიბლიოთეკა, კულტურის სასახლის ლამაზი შენობა, ოთხი სასადილო, საავადმყოფო, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები, ბევრი ბუფეტი და სხვ.

ზღვის მენავთობეები ამაყობენ ნავთობსარეწვების სამმართველოს უფროსით, სოციალისტური შრომის გმირით ბახტიარ მამედოვით, ბურღვის წარჩინებული ოსტატით ყურბან აბასოვით, მიხეილ კაეროჩკინით და იუსიფ ქერიმოვით. ეს გმირები მთელი აზერბაიჯანელი ხალხის სიამაყეს წარმოადგენენ.

რეპორტაჟი

ლამაზია ზღვის ქალაქი, მაგრამ კიდევ უფრო კარგი არიან მისი ადამიანები. ადამიანებმა სახელი გაუთქვეს ნავთობის ქვებს, ხოლო ნავთობის ქვები სახელს უხვევენ ადამიანებს.

ნავთობის ქვებს დიდი ხნის ისტორია როდი აქვს. ეს ქალაქი წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში და სულ ცოტა ხნის წინათ აღნიშნა თავისი არსებობის მეათე წლისთავი. მას შეიძლება ეწოდოს ბაქოს სარეწების უმცროსი ძმა. ქალაქი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ახლა აზერბაიჯანის ნავთობის მეტი წილის მოპოვება აქ ხდება. მთავარი კი ის არის, რომ ეს ნავთობი ძალიან იაფი ჯდება.

ახლა აქ მრავალი კოშკურაა. საინტერესოა, ვინ გაბურღა პირველი ჭაბურღილი. ეს იყო მიხეილ პავლეს-ძე კაეროჩკინი, რომლის სახელსაც მუდამ დიდი პატივისცემით წარმოთქვამენ, ის კაეროჩკინი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის ხსოვნა მუდამ ცოცხლობს ჩვენს გულში. ამჟამად ნავთობის ქვებში დადგმულია მისი მარმარილოს ბიუსტი, ხოლო მის მიერ გაბურღილ პირველ ჭაბურღილს გაკეთებული აქვს მემორიალური დფფა წარწერით:

„ნავთობის ქვების ეს პირველი ჭაბურღილი გაბურღა ბურღვის ცნობილმა ოსტატმა სოციალისტური შრომის გმირმა მიხეილ პავლეს-ძე კაეროჩკინმა“.

ორიან ადამიანები, რომელთა საქმეებსა და ცხოვრებაზე განსაკუთრებით უნდა ვილაპარაკოთ. თუ ნავთობის ქვებზე მისვლისას დაინტერესებით ფოლადის ხიმინჯებზე აგებული ამ ქალაქის ადამიანებით, აუცილებლად გიამბობენ ბურღვის წარჩინებულ ოსტატ იუსიფ ქერიმოვზე. რა თქმა უნდა, გიამბობენ იმასაც, რომ, როცა ქერიმოვი ზანგელანის რაიონის სოფელ ბეშთალიდან ბაქოში ჩამოვიდა, მას არავითარი სპეციალობა არ ჰქონდა. აქ ისწავლა მბურღავის ძნელი პროფესია, აქ გაბურღა 45-ზე მეტი ღრმა და დახრილი ჭაბურღილი. მარტო ზღვის მენავთობე მბურღავებმა იციან, რა საქმეა ღრმა და დახრილი ჭაბურღილების ბურღვა.

შემდეგ გაიგონებთ, რომ ძნელმა და საპატიო შრომამ აამაღლა იუსიფი, ავტორიტეტიანი და ყველას მიერ პატივცემული ადამიანი გახადა იგი, მას სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. იგი არჩეულ იქნა სკკპ ისტორიული XXI ყრილობის დელეგატად აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციისაგან. ყრილობის მუშაობის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი ჩამოართვა იუსიფ ქერიმოვს — ჯმუხ, შავთვალა ვაჟკაცს და უთხრა:

— არწივო, ამბობენ, რომ შენ ზღვაში მუშაობ?

— დიახ, ნიკიტა სერგის-ძევ, ზღვაში, ნავთობის ქვებზე, ბურღის ოსტატად ვმუშაობ.

— ნავთობის ქვები... ბურღვის ოსტატი... ყოჩაღ, ახალგაზრდა ოსტატო. მე არ მინახავს თქვენი ნავთობის ქვები, მაგრამ ვიცნობ ზღვის მენავთობეთა საგმირო საქმეებს, რომლებსაც ისინი საბჭოთა ხალხისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის აკეთებენ.

თუნდაც მოკლედ რომ გაეცნო ი. ქერიმოვის ცხოვრებასა და მუშაობას, ეს იმას უდრის, რომ გაეცნო ზღვის ყველა მენავთობის ცხოვრებასა და საპატიო შრომას.

ზღვის ქალაქში აზერბაიჯანელების მხარდახმარ მუშაობენ მოძმე ეროვნებათა წარმომადგენლებიც. ძნელმა და საპატიო შრომამ შეადუღლა ცალკეულ ეროვნებათა ადამიანების მეგობრობა და ძმობა. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს ეს მოყვარული ძმები. მაგალითი მრავალია. ავიღოთ თუნდაც ქართველი ინჟინერი ამირან ვიქტორის-ძე გაწერელია.

ნავთობის ქვებზე მას ყველანი იცნობენ. ის უყვართ ზღვის მენავთობეებს. ავტორიტეტი და პატივისცემა, რომლითაც ამირანი სარგებლობს, მან ძნელი და თავდადებული შრომით დაიმსახურა. მენავთობეები მასზე ამბობენ: ამირან ვიქტორის-ძე ლხინში ამხანაგია და ჭირში დასაყრდენი.

• • •

მშვენიერია ზღვის მენავთობეთა შრომა და ცხოვრება. საღამოობით, როცა ზღვის ლურჯ ტალღებს სიბნელე გადაეფარება, ზღვის მენავთობეთა ლეგენდარულ ქალაქში თვალისმომჭრელად აინთებიან ელჩირის ნათურები, ხოლო ფოლადის გიგანტური კუნძული თითქოს გულში ჩაუკრავს ზღვას. საღამოს ნავთობის ქვები მოგგაგონებს მშობლიურ ბაქოს, მაგრამ ეს ბაქო კი არ არის, არამედ მისი სიამაყეა. ეს კაშკაშა ნათურებიც, ზღვის ეს შესანიშნავი სამეფოც შექმნილია ჩვენი დროის გმირების, ჩვენი მამაცი საზღვაო მენავთობეების ხელით.

ჯალალ სარდაროვი.

ძვირფასი საჩუქარი

ბაქოს მთავარმშენის ტრესტის მერვე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად ძვირფასი საჩუქარი დაუმზადა ქალაქის ძერჟინსკის სახელობის რაიონის მშრომელებს. მშენებლებმა ფართოეკრანიანი კინოთეატრი ააგეს ლენინის პროსპექტისა და ბაქიხანოვის ქუჩის შესაყართან. კინოთეატრის მშენებლობაზე დაიხარჯა 2 მილიონ 700 ათასი მანეთი. შენობას აქვს მაყურებელთა 2 დარბაზი, თვითეული 400 კაცისათვის, ფართო ფოიე, საკონცერტო დარბაზი 110 მსმენელისათვის, ბუფეტი და სხვა ოთახები.

ფართოეკრანიან კინოთეატრს უჭირავს 1800 კვადრატული მეტრი ფართობი. შენობის წინ კეთდება მოედანი პატარა სკვერით და ყვავილნარით. კინოთეატრი აშენებულია არქიტექტორ მ. ალიევის პროექტის მიხედვით.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში დღესასწაულობს აზერბაიჯანელი ხალხი აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია არის ლენინის დიადი პარტიის ერთ-ერთი ნაკადი მებრძოლი რაზმი. აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ისტორია განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიასთან, მისი განუყოფელი ნაწილია. აზერბაიჯანში რევოლუციური მოძრაობის სული და გული იყო ბაქოს პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც შეისისხლხორცა ყოველივე საუკეთესო, რაც იყო და არის ბაქოს სახელოვან მუშათა კლასში, მისი უსაზღვრო ერთგულება რევოლუციის საქმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის დროშისადმი. რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მშრომელი ამაყობენ იმით, რომ ბაქოში, აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობდნენ და იბრძოდნენ კომუნისტური პარტიის ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიც არიან ი. ბ. სტალინი, ს. გ. შაუმიანი, მ. ი. კალინინი, მ. ა. აზიზბეკოვი, ჰ. ა. ჯაფარიძე, ი. ტ. ფიოლეტოვი, ს. მ. კიროვი, ნ. ნ. ნარიმანოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი და სხვები. ჩვენ წმიდად ვიცავთ კომუნიზმისათვის მამაც მებრძოლთა 26 სახელოვანი ბაქოელი კომისრის ხსოვნას, რომელნიც განასახიერებდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ მეგობრობას.

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ყველა ეტაპზე ბაქოელი პროლეტარიატი, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, კლასბრძოლის ბრძოლების წინა ხაზზე იყო. ბაქოელი მუშები მაშინვე გამოეხმაურნენ პეტროგრადის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებას 1917 წლის ოქტომბერში. უკვე მეექვსე დღეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რომელიც მოსაწვევდა ახალი ერის დაწყებას კაცობრიობის ისტორიაში, ბაქოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. პროლეტარული ბაქოს შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დამყარეს მშრომელებმა აზერბაიჯანის მთელ რიგ მაზრებში. 1918 წლის აპრილში შეიქმნა ბაქოს სახკომსაბჭო. მაგრამ ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის ჭარბი ძალების შემოტევით საბჭოთა ხელისუფლება აზერბაიჯანში 1918 წლის ივლისის დამლევს დროებით დაემხო. დაიწყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ახალი მძიმე ეტაპი უსასტიკესი რეპრესიების, კონტრრევოლუციური ძალებისა და სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტების განუწყვეტელი შემოტევის პირობებში. აზერბაიჯანის ბოლშევიკებმა უდიდესი მუშაობა გაანაღვლეს პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხთა მასების დასარაზმავად საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვების მოპოვებისათვის.

აზერბაიჯანის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა თავის პირველ ყრილობაზე 1920 წლის თებერვალში, აიღო მუსავატელთა ბურჟუაზიულ-შემამულური რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების მტკიცე კურსი. 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ კომუნისტთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს მუსავატელთა მთავრობა და აზერბაიჯანში სამუდამოდ აიფრიალეს საბჭოების ძლევამოსილი დროშა. გამოცხადდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — დიდი ოქტომბრის ღვიძლი შვილი.

სულ ოთხი ათეული წელი გავიდა იმ ისტორიული დღიდან, როცა აზერბაიჯანელმა ხალხმა მოიშორა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღელი და საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი. ამ წლების მანძილზე, მტკიცედ ასრულებს რა ლენინის ანდერძს, აზერბაიჯანელმა ხალხმა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განსორციელა დიადი სოციალისტური გარდაქმნები.

აზერბაიჯანის სსრ ეკონომიკისა და კულტურის აყვავების მაგალითით მკაფიოდ ვხედავთ კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავ ნაყოფს. ახლა ინდუსტრიული საწარმოები განლაგებულია მთელ აზერბაიჯანში. ბაქოს მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან ერთად წარმოიშვა ახალი ინდუსტრიული ცენტრები — კიროვაბადი, სუმგაითი, მინგეჩაური, დაშკესანი, ნახჭევანი, სტეფანაკერტი და სხვები. ახლა აზერბაიჯანის რუკაზეა 41 ქალაქი, მაშინ როცა რევოლუციამდე იყო სულ 13 ქალაქი.

სწრაფად ვითარდება რესპუბლიკის ეკონომიკის წამყვანი დარგი — ნავთობის მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი ძირეულად რეკონსტრუირებულ იქნა, ამჟამად აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით, აღმოჩენილია და ამუშავდა ნავთობისა და გაზის ათობით ახალი საბადო. ნავთობის სარეწები მენავთობეთა გმირული შრომით შენებულია არა მარტო ხმელეთზე, არამედ აგრეთვე გაშლილ ზღვაში. 1959 წელს ამოღებულ იქნა 6-ჯერ მეტი ნავთობი და თითქმის 170-ჯერ მეტი გაზი, ვიდრე 1920 წელს. აზერბაიჯანის გაზის ცისფერი ჩირაღდანი, რომელიც აინთო მოძმე რესპუბლიკების საქართველოსა და სომხეთის დედაქალაქებში, ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სიმბოლოა.

აზერბაიჯანი ხდება საბჭოთა კავშირის დიდი ქიმიის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი. სასარგებლო წიაღისეულთა მდიდარი საბადოების გამოყენების საფუძველზე ჩვენში წარმატებით ვითარდება სამთამადნო მრეწველობა, სამთო და ფერადი მეტალურგია. ომის შემდგომ წლებში ფართოდ გაიაღდა რკინის მადნის საბადოების დამუშავება დაშქესანში, აგებულია მილსაგლინავი და ალუმინის ქარხნები სუმგაითში. ამჟამად კიროვაბადში შენდება თიხამიწის დიდი ქარხანა.

აზერბაიჯანის რევოლუციამდელ სოფელში გაბატონებული იყო ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობა. გლეხურ მეურნეობათა წილად მოდიოდა მიწების 2 პროცენტზე ნაკლები. მთელ დანარჩენ მიწას ფლობდნენ ბეგები, ხანები, მეჩეთები, მონასტრები და მეფის ხაზინა. აზერბაიჯანის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს ვ. ი. ლენინის მითითება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ შექმნა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის ზრდის უმაგალითო შესაძლებლობანი.

საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე შესანიშნავი მიღწევა აზერბაიჯანში არის ადამიანთა სულიერი ზრდა, კომუნიზმის აქტიური მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდა.

აზერბაიჯანში, სადაც რევოლუციამდე არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა 12 უმაღლესი სასწავლებელია. ყოველ 10.000 მცხოვრებზე სტუდენტთა რაოდენობის მხრივ საბჭოთა აზერბაიჯანმა გაუსწრო არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს, არამედ აგრეთვე ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, როგორიც არიან ინგლისი და საფრანგეთი.

საბჭოთა აზერბაიჯანი მეცნიერული აზრის დიდი ცენტრია. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ორი წლის წინათ შეიქმნა, მეთაურობენ 100-მდე სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და ლაბორატორიას, სადაც შრომობს თითქმის ექვსი ათას ხუთასი მეცნიერი მუშაკი.

რესპუბლიკაში გაიზარდა ნიჭიერ მწერალთა შესანიშნავი პლეადა, „რომელთა ნაწარმოებნი ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. ნამდვილ აყვავებას მიაღწია აზერბაიჯანელი ხალხის ფორმით ეროვნულმა და შინაარსით სოციალისტურმა ხელოვნებამ.

აზერბაიჯანელმა მშრომელებმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, კარგად დაიწყეს შეიდწლედი. 1959 წლის და შვიდწლედის მეორე წლის პირველი კვარტალის გეგმები შესრულებულია ვადამდე. წყვეტს რა შვიდწლედის ამოცანებს, აზერბაიჯანელ ხალხს, ისე როგორც კომუნისტური მშენებლობის ყველა წინანდელ ეტაპზე, თავის შემდგომ გამარჯვებათა მთავარ საწინდრად მიაჩნია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს უფროს ძმასთან — დიდ რუს ხალხთან ურღვევი მეგობრობის უფრო განმტკიცება. აზერბაიჯანელი ხალხი მრავალი საუკუნის მეგობრობით არის დაკავშირებული მოძმე სომეხ და ქართველ ხალხებთან. ისინი არაერთგზის ერთად გამოსულან საბრძოლველად უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ერთ მწყობრში უწარმოებიათ ბრძოლა თავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამიერკავკასიის ხალხები საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ხელიხელჩაკიდებულნი, ლენინის ნაჩვენები გზით, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მიდიოდნენ სოციალისტური მშენებლობის გზით, ხოლო ახლა თავდადებული შრომით აგებენ კომუნიზმის ნათელ შენობას.

აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომპარტიის 40 წლისთავის ნათელ დღესასწაულს რესპუბლიკის მშრომელები ხვდებიან უადრესად დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, დიდი ოქტომბრის დროშით აზერბაიჯანელმა მშრომელებმა განვლეს ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა. ამ ძლევამოსილი დროშით, ლენინის დიადი პარტიის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ისინი წავლენ წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.



ყოველ წელს ახალი წარმატებები მოაქვს ნავთობის მრეწველობის ყველა დარგის ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებაში. ახალი ტექნიკის დანერგვამ, ნავთობის ახალი უმდიდრესი საბადოების აღმოჩენამ შესაძლებლობა მისცა ბაქოელ მენავთობეებს ახალ-ახალი წარმატებები მოეპოვებინათ დიადი შვიდწლედის პირველი ზღუდეების აღებაში.

ნავთობის მოპოვების განვითარებამ და სწრაფმა ზრდამ დააყენა ძველი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების რეკონსტრუქციისა და ახალი ქარხნების მშენებლობის ამოცანა. და მართლაც უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგა მძლავრი გიგანტები — ახალი ბაქოს ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, რომლებიც საუკეთესო, პირველხარისხოვანი მოწყობილობით არის აღჭურვილი.

სურათებზე: (ზემოთ) ნავთობსამმართველოს „გურგენნეფტის“ საზღვაო ჭაბურღილების ბურღვის უბნის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი იუსიფ ქერიმოვი; (ქვემოთ) ახალი ბაქოს ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა.

ფოტო ვ. იბადოვისა და ნ. იგნატოვისა.

რუსთავი—სუმგაითი

სუმგაითი და რუსთავი — მოძმე ქალაქები ერთსა და იმავე დროს დაიბადნენ და გაიზარდნენ. მოკლე ხანში, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის მეოხებით, აქ წარმოიშვნენ შესანიშნავი საწარმოები, რომელთა პროდუქცია მიდის ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც.

ორი მონათესავე საწარმოს — აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნისა და ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივები უკვე რამდენიმე წელია ეჯიბრებიან ერთმანეთს და სასახელო შრომითს წარმატებებს აღწევენ. ყოველი კვარტალის შემდეგ მეტალურგები აჯამებენ შედეგებს, უწიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ტექნიკურ ინფორმაციას, ყისრულობენ ახალ ვალდებულებებს.

ამჟერად შეჯვდრა მოხდა სუმგაითში. ბუნებრივი გაზით ფოლადის დნობის გამოცდილების შესასწავლად და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნის კოლექტივს ეწვია მეტალურგთა დელეგაცია მოძმე რუსთავიდან. დელეგაციას მეთაურობდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ გლინვის ოსტატი ა. გაგნიძე, მფოლადეები უ. მარუაშვილი, ვ. გიგიბერია, ღუმელების ოსტატი გ. ჩიჩანიძე.

სტუმრები გაეცნენ მარტენის, სალინავი და მილსაგლინავი საამქროების მუშაობას. შეჯამებულია შეჯიბრების შედეგები.

ა. პჩეტიანი.

ერის საუნჯე

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ეთარებაში, რაც გამოწვეულია პარტიის XXI ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, ხვდებიან აზერბაიჯანის მშრომელები თავიანთი რესპუბლიკის სახელოვან დღესასწაულს — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა რესპუბლიკის ცხოვრებაში განუყრელად დაკავშირებულია კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელის, ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის სახელთან, რომლის დაბადების 90 წლისთავი ფართოდ აღნიშნეს მიმდინარე წლის 22 აპრილს როგორც ჩვენმა ქვეყანამ, ისე მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე საბჭოთა ადამიანების გმირული შრომით აზერბაიჯანი მეფის რუსეთის უაღრესად ჩამორჩენილი განაპირა კუთხიდან გადაიქცა მოწინავე, ინდუსტრიისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის აყვავებულ რესპუბლიკად.

საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს გამარჯვებას აზერბაიჯანში წარმოადგენს ხალხის კულტურის აყვავება, ეროვნული კადრების შექმნა სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აზერბაიჯანის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი წეროკითხვის უცოდინარი იყო. ახლა იგი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკაა. მიმდინარე სასწავლო წელს ყველა სახეობის სწავლაში ჩაბმულია 830 ათასი კაცი. ეს ნიშნავს, რომ სწავლობს რესპუბლიკის თითქმის ყოველი მეოთხე მოქალაქე. აზერბაიჯანში ამჟამად 4.300 საერთო განათლების სკოლა და 19 სკოლა-ინტერნატია.

რესპუბლიკის კულტურული აყვავების მკაფიო დამადასტურებელია უმაღლესი განათლების განვითარება. რევოლუციამდე აზერბაიჯანში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. ახლა რესპუბლიკაში არის 12 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 34 ათასზე მეტი სტუდენტი. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აზერბაიჯანის უმაღლესმა სასწავლებლებმა მომამზადეს 73 ათასზე მეტი სპეციალისტი.

აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში. რესპუბლიკაში 97 სამეცნიერო დაწესებულებაა. მათს მუშაობას წარმართავს აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომლის შემადგენლობაში შედის 24 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

აზერბაიჯანის მშრომელთა განკარგულებაშია ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, მუზეუმების, თეატრების, კულტურის სასახლეებისა და სახლების ფართო ქსელი. რესპუბლიკაში დღეს 2.585 ბიბლიოთეკაა, მაშინ როცა 1913 წელს მათი რიცხვი 25-ს არ აღემატებოდა.

რესპუბლიკაში გამოდის 18 ჟურნალი და ასზე მეტი გაზეთი, რომელთა საერთო ტირაჟი 900 ათასს აღემატება. წლითიწლობით ფართოვდება კინოქსელი. ახლა რესპუბლიკაში 1200 კინოდანადგარია.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე აზერბაიჯანში ამ იყო არც ერთი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. ახლა დღეს რესპუბლიკაში მუშაობს 62 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი.

მოძმე საბჭოთა აზერბაიჯანმა ამ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა დახმარებით, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის თავდადებული შრომით.

ბაქოს ფუნიკულორი

მშენებლები შრომითი საჩუქრებით ხვდებიან აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. დიდი სახალხო დღესასწაულისათვის დამთავრდა რამდენიმე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სახლის მშენებლობა, მოხდა ბაღებისა და მოედნების რეკონსტრუქცია. დამთავრდება ფუნიკულორის მშენებლობაც...

ფუნიკულორი შენდება სასტუმრო „ინტურისტისა“ და კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკს შუა მდებარე მთაზე. ფუნიკულორის ქვედა მთავარი სადგური მოეწყობა სტალინის პროსპექტზე, ზედა სადგური კი კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის შუაგულში. ზედა სადგური აშენდება ზღვის დონიდან 100 მეტრის სიმაღლეზე. მანძილი ქვედა და ზედა სადგურებს შორის 550 მეტრია.

ბაქოს ფუნიკულორის ვაგონები დამზადებულია ლენინგრადის ვაგონშენებელ ქარხანაში, ელექტროძრავები აგებულია ხარკოვის მექანიკურ ქარხანაში, დანარჩენი მოწყობილობა კი სტალინის „უკრაინის ალაკ XI წლისთავის“ სახელობის ქარხანაში და აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში.

ალი აღა ძიურჩაილი

სიმღერა შვიდწლედზე

მე მახსოვს ზღაპარი
მღელვარეც, მშვიდიც —
თურმე ამ ქვეყანას
ჰქონია შვიდი ცა.

თუ გინდა იქ მისვლა, —
შვიდი საუკუნე
სულ უნდა იარო
ღრუბლების კიბითა.

შვიდას საუკუნეს
შვიდ ზეცას უყურეს
და ციურ შუქურებს
ნატრობდნენ რიდითა.

ფიქრით და წვალებით,
დალლილი თვალებით
სამყაროს გასცქერდნენ
ძილგანამკრთალები.

მაინც შორს რჩებოდნენ
ცა და ვარსკვლავები,
მხოლოდ ირხეოდნენ
ოცნების ლარები.

და შექმნეს ზღაპარი
მღელვარეც, მშვიდიც —
თურმე ჩვენს ქვეყანას
ჰქონია შვიდი ცა.

ჰეი, წინაპარო,
ნეტავი გაჩვენა,
რა შეძლო დღეს კაცის
ჭკუამ და მარჯვენამ.

თუ კი მოვისურვე,
ზღაპრული ჩიტივით
მე სულ შვიდ საათში
მოვიარ შვიდივეს.

ამ შვიდ წელიწადში,
მძლავრად რომ გუგუნებს,
მე გადავაბიჯებ
სრულ შვიდ საუკუნეს.

ნამსაც რომ ნატრობდა,
იმ დამწვარ უდაბნოს
რძეჩამდგარ უბე-მკერდს
ბაღებით ვუდაფნავ.

სიცოცხლის უკვდავი
ხილი რომ იხილა,
გუშინდელ ტრამალზე
ხვალ ქალაქს იხილავ.

ამ შვიდ წელიწადში,
ქვეყნად რომ გუგუნებს,
მე გადავაბიჯებ
სრულ შვიდ საუკუნეს.

მოდის კომუნიზმის
მზე სხივებცხოველი,
რომ ცხადად აქციოს
ზღაპარი ყოველი.

თარგმანი
თ. ჯანგულაშვილისა



ქომუნისტი

№-Ე ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲥᲘᲠᲐ,
24 აპრილი, 1960 წ.

ლენინური პრემიის ლაურეატთა რიცხვს მიემატა დიდი რუსი საბჭოთა მწერლის **მიხეილ შოლოხოვის** სახელი.

მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის შემოქმედება დღეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მისი „წყნარი დონი“, „გატეხილი ყამირის“ პირველი წიგნი და მოთხრობები მრავალ ენაზეა თარგმნილი ჩვენშიც და საზღვარგარეთაც.

შარშან მწერალმა „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნიც დაამთავრა, რაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უაღრესად დიდ კულტურულ მოვლენად იქნა აღიარებული. ამ რომანის პირველ წიგნს კარგად იცნობენ მკითხველები. ეს წიგნი ქართულად ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ითარგმნა.

დიდი სამამულო ომის დღეებში მთლიანად დაიღუპა მიხეილ შოლოხოვის არქივი, როცა მტერი სტანიცა ვეშენსკაიასაც მიადგა... დაიკარგა „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნის უკვე დაწერილი თავებიც. მწერალს თავიდან მოუხდა მეორე წიგნზე მუშაობა. მრავალი წლის დაძაბული შრომის შემდეგ მიხეილ შოლოხოვმა დაამთავრა შესანიშნავი ორწიგნიანი რომანი, რომლის გამო მიეკუთვნა ყველაზე დიდი ჯილდო — ლენინური პრემიის ლაურეატობა.

გუშინ „კომუნისტის“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა სტანიცა ვეშენსკაიას, ჩვენი გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით სულითა და გულით მიულოცა საყვარელ მწერალს მიხეილ შოლოხოვს მაღალი ჯილდო.

— გადაეცით ჩემი გულითადი მადლობა ყველას, — თქვა მიხეილ შოლოხოვმა, — გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს, რომლებიც ესოდენ სიყვარულს იჩენენ ჩემი შემოქმედების მიმართ და რომელთა ნახვაც ყოველთვის მენატრება. წელს კი ნამდვილად უნდა ჩამოვიდე საქართველოში. ჩემი სიტყვა არ დამვიწყებია.

გულითადი მადლობა. მაგრად გართმევთ ხელს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ პირველ თავს „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნიდან.

მ. შოლოხოვი

წიგნი მეორე

თავი I

გიწა წვიმის წყლით იყლინთებოდა და, როცა ქარი ღრუბლებს მისწი-მოსწევდა, კაშკაშა მზეზე ფიცხდებოდა და ცისფერი ოშხივარი ასდიოდა. დილაობით მდინარიდან, საფლობი, ჭაობიანი დაბლობებიდან ნისლი იძვროდა. იგი ბოლქვა-ბოლქვად მოგორავდა გრემიაჩი ლოგზე, ტრამალის ბორცვისაკენ მიცურავდა და იქ დნებოდა, უხილავად იცარცებოდა ფირუზისფერ უნაზეს კვამლში, ხოლო ხის ფოთლებზე, სახლებისა და ფარდულების ლელის სახურავებზე, ყველგან, შუადღემდე, ვით განეული ნაწრთობი საფანტი, იდო ტყვიასავით მძიმე, უხვი ნამი და ბალახს თელავდა.

ტრამალში ჭანგა მუხლს ზემოთ გაიზარდა. საძოვარს იქით აყვავდა ვარდკაჭაჭა. მისი თაფლოვანი სუნი საღამოჟამს მთელ ხუტორს ეფინებოდა და გულს უღელვებდა ქალიშვილებს. საშემოდგომო პურები ჰორიზონტამდე მთლიან მუქ-მწვანე კედელივით აღმართულიყვნენ, საგაფიფხულოები კი თვალს ახარებდნენ იშვიათი თანაბარი ჯეჯილით. რუხი ქვიშნარები სქლად აჯაგრულიყვნენ ისარივით ამოწვერილი სიმინდით.

ივნისის პირველი ნახევრის ბოლოს კარგი ამინდი დადგა, ცაში ღრუბლის ნასახიც არ გამოჩენილა, და საუცხოოდ დამშვენდა მზეზე აყვავებული, წვიმით განბანილი ტრამალი! ახლა იგი ისეთი იყო, ვით ახალგაზრდა, ძუძუმწოვარი დედა, — უჩვეულოდ ლამაზი, მიყუჩებული, ოდნავ დაღლილი და დედობის მშვენიერი, ბედნიერი და წმინდა ღიმილით მთლად გაშუქებული.

ყოველ დილას, მზის ამოსვლამდე, იაკობ ლუკას-ძე ოსტროვნოვი გაცვეთილ ბრეზენტის ლაბადას წამოისხამდა და ხუტორს გარეთ გადიოდა, რომ ჯეჯილების ცქერით დამტკბარიყო. დიდ ხანს იდგა ხოლმე კვალთან, საიდანაც ნამით აბზინებული საშემოდგომო ხორბალი იწყებოდა. იდგა უძრავად, თავჩაქინდრული, ვით ბებერი, დაღლილი ცხენი, და ფიქრობდა: „თუ დათავთავების დროს „ყალმუხმა“[1] არ დაუბერა, თუ მარცვალს ხორშაკმა არ უსწრო, დაიტვირთება მარცვლეულით კოლმეურნეობა, სამგზისაც დაუკრულავს იგი ღმერთს! ბედი აქვს რაღა წყეულ საბჭოთა ხელისუფლებას! რამდენი წელია ერთპიროვნული ცხოვრების დროს არ ყოფილა დროზე წვიმა, ახლა კი კოკისპირულად ასხამდა, დასაღუპავი! ხოლო კარგი მოსავალი თუ იქნა, — კარგა ბლომად ერგებათ შრომადღეებში კოლმეურნეებს, და მაშინ განა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ააგულიანებ იმათ? არასოდეს! მშიერი კაცი, ვით მგელი ტყეში, სადაც გინდა წავა; მაძღარი კაცი ღორია სალაფავთან, ადგილიდანაც ვერ დაძრავ. ან რას ფიქრობს ბატონი პოლოვცევი, რას ელოდებიან, ვერ გამიგია! სწორედ დროა ახლა შეარყიო საბჭოთა ხელისუფლება, ისინი კი ნებივრობენ...“

იაკობ ლუკას-ძე, პოლოვცევის აღთქმული გადატრიალების ლოდინით რომ დაიღალა, ასე, რა თქმა უნდა, ჯავრიან გულზე მსჯელობდა. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ პოლოვცევი სულაც არ ნებივრობდა და რაღაცას სრულიადაც განუსჯელად როდი ელოდებოდა. თითქმის ყოველღამე შორეული ხუტორებიდან და უცხო სტანიცებიდან ციცაბოზე, მთიდან ზედ ოსტროვნოვის ბაღს რომ აწყდებოდა, ამოდიოდნენ შიკრიკები. ისინი ცხენებს ტოვებდნენ ალბათ ციცაბოს ტყიან მწვერვალზე და ქვეითად მოდიოდნენ. დათქმულ წყნარ კაკუნზე კარს აღებდა იაკობი, ლამპას არ ანთებდა და პოლოვცევის ოთახში მიაცილებდა. ოთახში დარაბები ორივე ფანჯრისა, ეზოში რომ გადიოდა, დღედაღამ დახურული იყო, შიგნიდან კი ყრუდ ჰქონდა ჩამოფარებული სქელი, რუხი მატყლისაგან მოთელილი ქეჩა. მზიან დღეშიც კი ისე ბნელოდა, როგორც სარდაფში, და ისევე, როგორც სარდაფში, იშვიათად განიავებული სადგომის ობის, ნესტის სუნი და აშმორებული, დახუთული ჰაერი იყო. დღისით არც პოლოვცევი და არც ლიატიევსკი გარეთ არ გადიოდა; პირამად ისინი ხმარობდნენ იატაკის ავარდნილ ცალფიცრის ქვეშ დადგმულ მოთუთიებულ კასრს.

ყველას, ვინც ქურდულად მოდიოდა ღამღამობით, იაკობი სწრაფად ათვალიერებდა ასანთის სინათლეზე, მაგრამ ჯერ ერთხელაც არ შეხვედრია ნაცნობი; ყველანი უცხონი იყვნენ და, როგორც ჩანდა, შორეულნი. როგორღაც ერთ-ერთ მეკავშირეს იაკობმა გაბედა და წყნარად ჰკითხა:

— საიდან ხართ, სტანიცელო?

ასანთის მოლიცლიცე სინათლემ გააშუქა ჩაბალახით შეხვეული წვერიანი, შესახედავად გულუბრყვილო სახე ხანში შესული კაზაკისა, და იაკობმა დაინახა მოჭუტული თვალები და დამცინავი ღიმილით მოქათქათე კბილები.

— საიქიოდან, სტანიცელო! — ისეთივე წყნარი ჩურჩულით უპასუხა მოსულმა. და ბრძანებლური ხმით დასძინა: — ჩქარა მიმგვარე და ნაკლებ იცნობისმოყვარე!

ხოლო ორი დღე-ღამის შემდეგ ესევე წვერიანი და მასთან კიდევ ერთი კაზაკი, უფრო ახალგაზრდა, კვლავ მოვიდნენ. იმათ წინკარში შემოიტანეს რაღაც მძიმე, მაგრამ დადიოდნენ წყნარად, თითქმის უხმაუროდ. იაკობმა ასანთი გაჰკრა და დაინახა, რომ წვერიანს ეჭირა ორი ოფიცრის უნაგირი, მხარზე გადაეკიდა ვერცხლით მოჭედილი აღვირები; მეორეს მხარზე ჰქონდა რაღაც ნაკრაუული, გრძელი და უფორმო, შავ ბანჯგვლიან ნაბადში რომ იყო შეხვეული.

წვერიანმა იაკობს, როგორც დიდი ხნის ნაცნობს, თვალი ჩაუკრა და ჰკითხა:

— შინ არის? ორივე? — პასუხს არ დაელოდა და ოთახისკენ წავიდა.

ასანთი თითებს უწვავდა იაკობს. ბნელში წვერიანი რაღაცას წამოედო, ხმადაბლა შეიგინა.

— მოიცა, ახლავე, — უთხრა იაკობმა და თითებაკანკალებულმა კოლოფიდან ასანთის ღერი ამოიღო.

პოლოვცევემა თვითონ გააღო კარი და წყნარად უთხრა:

— შემოდით. შემოდით-მეთქი, მანდ რას აკეთებთ? შემოდი შენც, იაკობ, საქმე მაქვს შენთან. წყნარად, ახლავე ავანთებ.

ანთო ფარანი „ღამურა“, მაგრამ ზემოდან კურტაკი წააფარა, დატოვა მხოლოდ სინათლის ვიწრო ზოლი, ჟანგმიწით შეღებილ იატაკს რომ ირიბად ეფინებოდა.

მოსულნი მოკრძალებით მიესალმნენ, კართან დაწყეს მოტანილი ნივთები. წვერიანმა ორი ნაბიჯი წადგა წინ, ქუსლები ერთმანეთს შემოჰკრა, უბიდან პაკეტი ამოიღო და გაუწოდა. პოლოვცევემა კონვერტი გახსნა, წერილი ფარანთან მიიტანა, სწრაფად ჩაიკითხა და უთხრა:

— სედოის მადლობა გადაეცით. პასუხი არ იქნება. მისგან ამბავს ველი არა უგვიანეს თორმეტი რიცხვისა. შეგიძლიათ წახვიდეთ. გზაში თავს არ დაგათენდებათ?

— სრულიადაც არა, მივირბენთ. კარგი ცხენები გვყავს, — უთხრა წვერიანმა.

— მაშ წადით. გმადლობთ სამსახურისათვის.

— მოხარული ვართ ვეცადოთ!

ორივე ერთბაშად მიბრუნდა, ქუსლები მიატკაცუნეს, გავიდნენ. იაკობმა აღტაცებით გაიფიქრა: „აი გაწვრთნაც ამასა ჰქვია! ძველი სკოლა გაუვლიათ სამწყობრო სამსახურში, ზედვე ეტყობათ!.. მერე ისინი რატომ რაიმე უფროსობით არ მიმართავენ?..“

პოლოვცევი მასთან მივიდა, მძიმე ხელი მხარზე დაადო. იაკობი უნებურად დაიძაბა, წელში გასწორდა, ხელები თეძოებზე დაიწყო.

— ნახე არწივები? — პოლოვცევემა წყნარად ჩაიცინა. — ესენი არ მიმტყუნებენ. ესენი ცეცხლსა და წყალში გამომყვებიან, ისე კი არა, როგორც ზოგიერთი ფლიდი და გაუტანელი ხუტორ ვოისკოვიდან. ახლა ვნახოთ, რა მოგვიტანეს.

პოლოვცევემა ცალ მუხლზე დაიჩოქა და სწრაფად გახსნა თეთრი მოუქნელი თასმები, ნაბადს რომ მჭიდროდ ჰქონდა შემოხვეული, გაშალა და ამოიღო ხელის ტყვიამფრქვევის დაშლილი ნაწილები, გაზეთილ ჯალაშა ქსოვილში შეხვეული მქრქალად მოელვარე ოთხი დისკო. მერე ფრთხილად ამოიღო ორი ხმალი. ერთი მათგანი უბრალო, კაზაკური იყო, გახეხილ, ბევრის მნახველ ქარქაშში; მეორე—ოფიცრისა, ღრმად ჩაფლული ვერცხლის ვადით და გახუნებული გიორგის ტემლაკით, ქარქაში მოსევადებული ვერცხლით იყო შეკედილი, ყაწმი შავი კავკასიური ჰქონდა.

პოლოვცევემა უკვე ორივე მუხლზე დაიჩოქა, გაშვერილ ხელისგულებზე დაიდო ხმალი და თავი გადასწია, თითქოს ვერცხლის მკრთალი ციალით ტკბებაო, მერე გულში ჩაიკრა და აკანკალებული ხმით თქვა:

— ჩემო საყვარელო, მშვენიერო! ჩემო ერთგულო ბებრუხანავ! შენ კიდევ მემსახურები რწმენითა და სიმართლით!

მასიური ქვედა ყბა აუცახცახდა, თვალებში მრისხანებისა და აღტაცების ცრემლი აუდუღდა, მაგრამ ძლივს შეიკავა თავი, გაფითრებული, დამანკული სახე იაკობისკენ მიიბრუნა და ომახიანად ჰკითხა:

— ლუკიჩ, გეცნაურება?

პოლოვცევემა ორივე მუხლზე დაიჩოქა და წარმოთქვა: — ჩემო ერთგულო ბებრუხანავ!

იაკობმა, თითქოს კრუნჩხვით გადაყლაპა ნერწყვიო. უხმოდ დაუქნია თავი: იცნო, როგორ არ იცნო, ის ხმალი პირველად ათას ცხრაასს თხუთმეტ წელს ნახა, ახალგაზრდა და ყოჩაღ ალამდარს პოლოვცევს ეკეთა ავსტრიის ფრონტზე...

ლიატიევსკიმ, ლოგინზე რომ მდუმარედ და გულგრილად იწვა, წამოიწია, შიშველი ფეხები ჩამოუშვა, ტკაცუნით გაიზმორა, ნაღვლიანად გააკიაფა ერთადერთი თვალი.

— გულის ამაჩუყებელი პაემანი! — ხრინწიანი ხმით თქვა მან. — აჯანყების, ასე ვთქვათ, იდილია. არ მიყვარს ეს სენტიმენტალური სცენები, ცუდი პათოსით რომ არის დამქავებული!

— გაჩუმდით! — უკმეხად უთხრა პოლოვცევმა.

ლიატიევსკიმ მხრები აიჩეჩა.

— რატომ უნდა გავჩუმდე? და რაზე უნდა გავჩუმდე?

— გთხოვთ, გაჩუმდით! — სულ წყნარად თქვა პოლოვცევმა, ადგა და ნელი, თითქოს შემპარავი მოძრაობით გაემართა საწოლისაკენ.

აცახცახებულ მარცხენა ხელში ხმალი ეჭირა, მარჯვენათი იხსნიდა, იგლეჯდა რუხი ტოლსტოურას საყელოს. შეშინებულმა იაკობმა დაინახა, რომ პოლოვცევს გაბრაზებით შეერწყო თვალები ცხვირის ძვალთან, შეშუპებული სახე ტოლსტოურას ფერი გაუხდა.

ლიატიევსკი მშვიდად და აუჩქარებლად მიწვა საწოლზე და ხელები თავქვეშ ამოიდო.

— თეატრალური ჟესტი! — თქვა, დამცინავად გაიღიმა და ერთადერთი თვალი ჭერს მიაპყრო. — ყველაფერი ეს უკვე მინახავს, და არა ერთგზის, საძაგელ პროვინციულ თეატრებში. მომბეზრდა!

პოლოვცევი ორ ნაბიჯზე შედგა, ძლიერ დაღლილი მოძრაობით ასწია ხელი და შუბლზე ოფლი მოიწმინდა; შემდეგ მოთენთილი და დასველებული ხელი მჩვარივით დაეკიდა.

— ნერვები... თქვა მან გაურკვევლად და ბლუდ, როგორც დამბლადაცემულმა, და თითქოს უნდა გაიღიმოსო,ისე დაუმანჭა სახე ხანგრძლივმა კრუნჩხვამ.

— და ეგეც არაერთგზის გამიგონია, გეყოფათ დედლობა, პოლოვცევ! შეიკავეთ თავი.

— ნერვები... — წაიდუდუნა პოლოვცევემა. — ნერვები ცელქობენ... მეც მომბეზრდა ამ სიბნელეში, ამ სამარეში...

— სიბნელე ბრძენთა მეგობარია. იგი ხელს უწყობს ცხოვრებაზე ფილოსოფიურ მსჯელობას, ნერვები კი პრაქტიკულად მხოლოდ სისხლნაკლულ, მუწუკებიან ქალიშვილებსა და ქალბატონებს აქვთ, სიტყვის შეუკავებლობითა და შაკიკით რომ იტანჯებიან. — ნერვები სირცხვილი და უპატიობაა ოფიცრისათვის! მაგრამ თქვენ თავს იკატუნებთ მხოლოდ, პოლოვცევ, არავითარი ნერვულობა არა გჭირთ, ხუშტურია მხოლოდ! არ მჯერა თქვენი! ოფიცრის პატიოსან სიტყვას გეუბნებით, არ მჯერა!

— თქვენ ოფიცერი კი არა, პირუტყვი ხართ!

— ეგეც არაერთხელ გამიგონია, მაგრამ დუელში სულ ერთია არ ვამოგიწვევთ, ჯანაბას თქვენი თავი! ძველი და უდროოა, და უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმეებია. თანაც, როგორც მოგეხსენებათ, დიდადპატივცემულო, იბრძვიან მხოლოდ დაშნებით და არა რაღაც ყავრის ჩოტით, რომლის ნიმუშსაც ასე გულაჩუყებით და ნაზად იკრავდით მკერდში. როგორც ძველ არტილერისტს, მძულს ცივი მორთულობის ეგ სახეობა. არის კიდევ ერთი არგუმენტი დუელში თქვენი გამოწვევის წინააღმდეგ: თქვენ სისხლით მდაბიო ხართ, მე კი — პოლონელი აზნაური, ერთ-ერთი უძველესი საგვარეულოდან, რომელიც...

— აქ მიყურე, ღ... შლიახტიჩო! — უხეშად გააწყვეტინა პოლოვცევემა, და მისმა ხმამ უეცრად მოიპოვა ჩვეული სიმტკიცე და ლითონის, ბრძანებლური ნაწრთობობა. გიორგის იარაღის მასხარად აგდება?! თუ კიდევ თუნდაც ერთი სიტყვა გითქვამს, ძაღლსავით აგკუწავ!

ლიატიევსკიმ საწოლზე წამოიწია. ბაგეზე წეღანდელი ირონიული ღიმილის ნასახიც კი აღარ ეტყობოდა. სერიოზულად და უბრალოდ თქვა:

— აი ეს კი მჯერა! ხმა ამეღვივნებს თქვენს გულწრფელ და კეთილ განზრახვას, ამიტომ კრინტს არა ვძრავ.

იგი კვლავ მიწვა და ნიკაპამდე გადაიჭიმა ძველი თივთიკის საბანი.

— სულ ერთია მოგკლავ, — ჯიუტად იმეორებდა პოლოვცევი და რქენია ხარივით თავდახრილი იდგა საწოლთან. — აი სწორედ ამ რკინეულით ერთი დიდკაცური პირუტყვისაგან ერთბაშად ორს გავაკეთებ — და იცი, როდის? როგორც კი დონის მხარეში საბჭოთა ხელისუფლებას დავამხობთ!

— ჰოდა, თუ აგრეა, შემიძლია მშვიდად ვიცოცხლო ღრმა მოხუცებამდე, ან იქნებ მუდამაც ვიცოცხლო, — ჩაიცინა ლიატიევსკიმ და თქვა, მერე მაგრად შეიგინა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

იაკობ ლუკას-ძე კართან იდგა და ფეხებს ინაცვლებდა, თითქოს ნაკვერჩხალზე დგასო. რამდენჯერმე სცადა ოთახიდან გასულიყო, მაგრამ პოლოვცევი ხელით ანიშნებდა, მოიცადეო. ბოლოს ველარ მოითმინა და შეეხვეწა:

— გამიშვით, გამათავისუფლეთ, თქვენო კეთილშობილებავ! სადაცაა გათენდება და მე კი ადრე უნდა გავიდე ყანაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ა. შოლოხოვი

* * *

პოლოვცევი სკამზე ჩამოჯდა, ხმალი მუხლებზე დაიდო, ხელებით ზედ დაეყრდნო, ძლიერ მოიხარა და დიდ ხანს დუმდა. ისმოდა მხოლოდ, რა მძიმედ, ქსუტუნით სუნთქავდა, და მაგიდაზეც წიკწიკებდა მისი დიდი, ჯიბის საათი. იაკობს ეგონა, თვლემსო, მაგრამ მან ერთბაშად აჰზიდა თავისი ზორზობი, მკვრივი ტანი და უთხრა:

— წამოიღე, ლუკიჩ, უნაგირები, მე კი დანარჩენს წამოვიღებ. წავიდეთ და ყველაფერი საიმედო მშრალ ადგილას დაკმალოთ. შეიძლება იქ, რა ქვიანა...ო, ეშმაკმა იცის, ფარდულში, სადაც წივა გიწყვია, ა?

— შესაფერისი ადგილია, წავიდეთ, — დაეთანხმა იაკობი, რომელსაც ამ ოთახიდან გასვლის იმედი ჰქონდა გადაწყვეტილი.

მან ის იყო აიღო ერთი უნაგირი, რომ ლიატიევსკი დამთხვეულივით წამოვარდა, თვალი დააბრიალა და წაესისინა:

— რასა შვრებით? მე გეკითხებით: რას ჩადიხართ?

პოლოვცევი, ნაბადზე რომ იყო დახრილი, წელში გასწორდა და გულგრილად ჰკითხა:

— რა მოხდა? აგრე რამ აგაღელვათ?

— როგორ არ გესმით? დამალეთ, თუ გნებავთ, უნაგირები და აი ეს ჯართი, მაგრამ ტყვიამფრქვევი და დისკოები დატოვეთ! აგარაკზე როდი ცხოვრობთ მეგობართან და ტყვიამფრქვევი ყოველ წუთს დაგჭირდებათ, იმედი მაქვს, გესმით?

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ პოლოვცევი დაეთანხმა:

— თითქოს მართალი ხართ, რაძიკილის ნაბიჭვარო. თუ აგრეა, ყველაფერი აქ დარჩეს. წადი, ლუკიჩ, დაიძინე, შეგიძლია თავისუფალი იყო.

და რა მტკიცე აღმოჩნდა ძველი სამსახურებრივი ჩვევა! რაიმეს გაფიქრებაც კი ვერ მოასწრო იაკობმა, რომ შიშველი ფეხები თავისთავად, უნებლიეთ, მიბრუნდნენ „მარცხნით ირგვლივ“ და ნაჯაფი ქუსლები თითქმის უხმაუროდ მიეხალნენ ერთმანეთს. პოლოვცევემა ოდნავ გაიღიმა, იაკობმა კი, მიხედა თუ არა კარი, იგრძნო თავისი მარცხი, დარცხვენით კიდევაც დაიკვნესა და გაიფიქრა: „ი წვერიანმა ეშმაკმა მაცოუნა თავისი გაწვრთნილობით!“.

გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს. აჯანყების წარმატების იმედს ცვლიდა ჩავარდნის შიში და ნაგვიანევი სინანული, რომ მეტად განუსჯელად დაუკავშირა თავისი ბედი ისეთ წყალწაღებულ ადამიანებს, როგორიც პოლოვცევი და ლიატიევსკი არიან. „ეჰ, ავჩქარდი, გავები რაღა! — გულში წუხდა იაკობი. — არ მერჩივნა, ბებერ ყეყეჩს, მელოდნა, განზე ვყოფილიყავ, წინასწარ სიტყვა არ მომეცა ალექსანდრე ანისიმეს-ძისათვის. აჯობებდნენ კომუნისტებს — და აი მაშინ მივეგებრობოდი მზაპზარეულზე, თორემ ისე ადვილად ამიგებენ ანდერძს, რომ... ესეც უნდა ითქვას: მე რომ განზე გავდგე, მეორეც, მესამეც, მაშინ რა გამოვა? სულ მუდამ რომ ზურგით ვზიდო საბჭოთა ხელისუფლება? არც ეს ვარგა! თავის ნებით კი იგი არ ჩამოხდება, ოჰ, რა ჩამოხდება! მალე კი გათავდებოდეს როგორმედა... ალექსანდრე ანისიმეს-ძე დესანტსაც გვპირდება უცხოეთიდან, ყუბანელების დახმარებასაც. რბილად აგებს, მაგრამ ძილი როგორი გვექნება? ღმერთმა იცის, მოწყალემ! ერთიც ვნახოთ, მოკავშირეებმა გადაიფიქრეს ჩვენს მიწაზე გადმოსხდომა, მაშინ? გამოგზავნიან, როგორც ცხრამეტ წელს, ინგლისურ ფარაჯებს, თვითონ კი შინ ისხდებიან, ყავას მიირთმევენ ლამაზად და თავიანთ ღედაკაცებთან დროს გაატარებენ, — აი მაშინ ჩვენ რა უნდა ვქნათ მარტო მათი ფარაჯებით? სისხლიან წვინტლს მოვიწშენდთ მაშინ იმ ფარაჯების კალთით, მეტი არაფერი. დაგვცხებენ ბოლშევიკები, ღმერთმანი, დაგვცხებენ! მათთვის ეს საქმე ჩვეულია. მაშინ კი დავიღუპებით ყველანი. ვინც იმათ წინააღმდეგ წავა. გადაირუჯება დონის არმარე!..“

ამ ფიქრებმა დაანაღვლიანეს იაკობი, თავისი თავი ისე შეებრალა, რომ კინაღამ ატირდა. დიდ ხანს ხვნეშოდა, კვნესოდა, პირჯვარს იწერდა, ლოცვებს ჩურჩულებდა, მერე კი აბეზარმა ფიქრებმა კვლავ სინამდვილეს დაუბრუნეს: „ნეტავ ალექსანდრე ანისიმეს-ძეს რა აქვს გასაყოფი იმ ბრუტიან პოლონელთან? რას ეკინკლავებიან მუდამ ერთმანეთს? ასეთი დიდი საქმე უნდა გაეკეთონ და ორ ავ ძაღლივით კი უღრენენ ერთმანეთს. და სულ უფრო ის ცალთვალა უტევს, ლაქლაქა, ხან ასე იტყვის, ხან ისე. ბილწი კაცია, იმისი არაფერი მწამს. ტყუილი ნათქვამი როდია: „ნუ ენდობი ნურც ცალთვალას, ნურც კუზიანს და ნურც საკუთარ ცოლს“. მოკლავს იმას ალექსანდრე ანისიმეს-ძე, ღმერთმანი, მოკლავს! ჰოდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს, სულ ერთია ჩვენი რჯულისა არ არის“.

ამ დამამშვიდებელ ფიქრებში ბოლოს როგორც იყო ჩაეძინა იაკობს ხანმოკლე, გულის ძილით.

თარგმანი არისტო ჭუმბაძისა.

* * *

ფოტო **ო. არგბელიძისა,**
ილუსტრაციები მხატვარ **ი. ქოქიაშვილისა.**

კომუნისტი

მე-3 გვერდი, კვირა, 24 აპრილი, 1960 წ.

1 ყალმუხი — სამხრეთ აღმოსავლეთის ქარი.

უ. ნეუი მოსკოვში

23 აპრილს ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი უოლტერ ნეში, რომელიც ხსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

* * *

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა უოლტერ ნეშმა 23 აპრილს საუზმე გამართა.

საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი და სხვები.

სპორტი

რინგზე არიან უძლიერესნი

გუშინ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გრძელდებოდა ზონალური ასპარეზობა კრივში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

მჩატე წონაში ა. ბაუკინისა (მოსკოვი) და ნ. ქიქავას (თბილისი) ორთაბრძოლა დამთავრდა ნ. ქიქავას გამარჯვებით; ს. ჩოტულიდმ (თბილისი) დაამარცხა ლ. მნაცაკანოვი (თბილისი).

მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა ბრძოლა თბილისელმა ჯ. კვანტალიანმა და გაიმარჯვა ვორონეჟელ ვ. კარპათან. მეორე ქვესაშუალო წონაში ს. აბაზაძე (თბილისი) დამარცხდა ი. როდონიკოთან (მოსკოვი). ამავე წონაში წარმატებით იბრძვის ი. მელაძე. მან მოუგო გ. გასპარიანს (ერევანი).

მეორე საშუალო წონის მოკრივე ს. აბულაძის (ქუთაისი) წინააღმდეგ იბრძოდა გ. სოგომონიანი (ერევანი) წესების დარღვევისათვის ერევნელი მოკრივე დისკვალიფიცირებულ იქნა და გამარჯვება ს. აბულაძეს მიეკუთვნა. რ. აკოფოვის (თბილისი) მოწინააღმდეგეს ბ. ნაზარენკოს (ორჯონიკიძე) წარბი დაუზიანდა და მოიხსნა შეჯიბრებიდან. გამარჯვება რ. აკოფოვს ხვდა.

ევროპის ორგზის ჩემპიონმა ა. აბრამომმა (მოსკოვი) დაამარცხა რ. კოჩიევი (თბილისი).

წყალბურთელთა ასპარეზობა

მოსკოვი. 23 აპრილი. დღეს თბილისის დინამომელები შეხვდნენ მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ გუნდს. გაიმარჯვეს თბილისელებმა, ანგარიშით 6 : 4. ბურთები გაიტანეს გვახარიამ და ჩიქვანაიამ.

მოსკოვის „დინამომ“ მოუგო ბაქოს წყალბურთელებს 5 : 3, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა — რსფსრ წყალბურთელებს 5 : 1.

ეს მომავალ საბჭოთა აზერბაიჯანია

რომელ ქალაქშიც არ უნდა ჩახვიდეთ, გული ცენტრისაკენ მიგიწევთ. გინდათ ახლოს, თვალნათლივ ნახოთ ქალაქის ცენტრი, მისი ნახვით ნაწილობრივი წარმოდგენა მაინც გექნებათ მკვიდრთა წარსულზე და აწმყოზე. ქართა ქალაქში — ბაქოში თუ ერთ დღეს მაინც ყოფილხართ, არ შეიძლება, რომ კარლ მარქსის მოედანზე არ გაგივლოთ. იგი ხომ ამ ქალაქის გულია. აქვეა ნიზამის სკვერი და ჭადრაკის დაფასავით მწვანე უჯრედებიანი შენობა. მასში. მოთავსებულია აზერბაიჯანის ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი. ეს მუზეუმი, რომელიც 1945 წელს გაიხსნა, მეთორმეტე საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის სახელობისაა.

ექსპოზიციები მუზეუმის 15 დარბაზშია მოთავსებული. პირველ სამ დარბაზში გამოფენილია აზერბაიჯანული ხალხის ისტორიის ადრინდელი საუკუნეების სხვადასხვა ეტაპის ამსახველი მასალები. მომდევნო დარბაზებში ასახულია ის ეპოქა, რომელშიც ნიზამი ცხოვრობდა. ექსპონატები მნახველს ნათელ წარმოდგენას აძლევს იმ დროინდელ ეკონომიკაზე, ლიტერატურაზე, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ აზერბაიჯანელი ხალხის ბრძოლაზე.

მნახველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნიზამის უკვდავი შემოქმედება. მისი თხზულებების უნიკალური ხელთნაწერები, მინიატურები, შესანიშნავი ილუსტრაციები

უკანასკნელ დარბაზში კი გამოფენილია თანამედროვე აზერბაიჯანული საბჭოთა ლიტერატურა.

ნიზამის სახელობის მუზეუმი აზერბაიჯანელი ხალხის სიამაყეა. იგი მისი დიდი კულტურის გულია.

სურათზე: ნიზამის მუზეუმი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქენევის თათბირზე

ჟენევა, 22 აპრილი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. პავლოვი იუწყება: დღეს გაიმართა ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი სხდომა პოლონეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

დელეგაციებთან დაახლოებული წრეებიდან ცნობილი გახდა, რომ ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა მ. ტარაბანოვმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყო დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების პოზიციის ორჭოფობა, რომლებიც სიტყვით ცნობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, ხოლო სინამდვილეში ცდილობენ კომიტეტის მუშაობა გადაიყვანონ იმ საკითხების განხილვის გზაზე, რომლებიც დიდად დაშორებულია ამ რეზოლუციის მოთხოვნებს.

თავის გამოსვლაში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ა. ზორინმა განაცხადა; დღეს კაცობრიობა აღნიშნავს დიდმნიშვნელოვან თარიღს — საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიასძე ლენინის დაბადების 90 წლისთავს. ლენინის დიად საქმეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იმას, რომ მან ყოველმხრივ დაასაბუთა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების აქტიური მოქმედების შედეგად, თქვა შემდეგ ვ. ა. ზორინმა, ამჟამად გამონახულია განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი ახალი მიდგომა, რომელსაც განასახიერებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

ამ რეზოლუციის განხორციელება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანაა. კომიტეტის ამოცანა ის არის, რომ შეიმუშაოს და შეათანხმოს საყოველთაო და სრული განიარაღების კონკრეტული პროგრამა. ამ დიდ მიზანს სავსებით შეესაბამება საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა გეგმა.

ჩვენი წინადადებაა ამ პრობლემის გადაჭრას შეეუდგეთ უშუალოდ — საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების შემუშავების გზით.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის წარმომადგენელი იტონი. იგი კვლავ მოითხოვდა, რომ ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი შეუდგეს კონტროლის საკითხების განხილვას ისე, რომ ეს არ იქნეს დაკავშირებული განიარაღების რაიმე ღონისძიებასთან. ამასთან, მიუხედავად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა, იგი შეეცადა დაემახინჯებინა საბჭოთა კავშირის პოზიცია, ამტკიცებდა, რომ საბჭოთა მხარე თითქოს მუდამ დუმს, როცა სიტყვა ჩამოვარდება კონტროლის ღონისძიებებზე. შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური. შეეხო რა იტონის მტკიცებას, რომ საბჭოთა კავშირი არ იჩენს ინტერესს კონტროლის საკითხებისადმი, მან განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ისტორიის კონკრეტული ფაქტებით დასაბუთებულად ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ მხარს უჭერდა და მხარს უჭერს ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს განიარაღების ღონისძიებებისადმი.

ობერდენდერის პროცესი ბერლინში

ბერლინი, 23 აპრილი. საკდესის კორესპონდენტები ა. ტოუპაევი და ვ. ივანოვი იუწყებიან: პროცესზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, სადაც ბონელი მინისტრის ობერლენდერის საქმეს ისმენენ, ზედიზედ გამოდიან მოწმეები. გუშინ დღის მეორე ნახევარში ჩვენებას აძლევდნენ რეგისი (ისრაელი), ი. მაკარუხა (სსრ კავშირი) და ტ. სულიმი (სსრ კავშირი). ისინი ხატავენ სისხლისმღვრელი ტერორისა და რევრესიების სურათს, რომლებიც გაბატონებული იყო ლვოვში ჰიტლერელთა მიერ ქალაქის ოკუპაციის პირველ დღეებში. ჩვენება სავსებით უარყოფს ობერლენდერის მტკიცებას, თითქოს ლვოვში ბატალიონ „ნახტიგალის“ ყოფნის დროს „ერთი თოფიც არ გასროლილა“.

მოწმე რეგისი ამბობს, რომ დაპატიმრება და დახვრეტა ლვოვში დაიწყო ოკუპანტების მიერ მისი დაკავებისთანავე. 30 ივნისს თვითონ იგი დააპატიმრეს და ჩასვეს საპყრობილეში უკრაინელმა ნაციონალისტებმა. საპყრობილეში მან ნახა სასტიკად ნაცემი ადამიანები და გვამები. მას შემდეგ რაც მან საპყრობილედან გაქცევა მოახერხა, რეისმა შეიტყო, რომ ლვოვში შევიდა სპეციალური ქვეგანყოფი, რომლის ამოცანა იყო „ბოლონელების, ებრაელებისა და კომუნისტების მოსპობა“.

მოწმე ი. მაკარუხა, რომელიც აგრეთვე დაიპატიმრეს უკრაინელმა ნაციონალისტებმა, ამბობს, რომ საპყრობილეში, სადაც იგი ჩასვეს, იყვნენ ებრაელები და პოლონელები. ყოველ დღე საპყრობილედან გაჰყავდათ ადამიანთა ჯგუფები, ხოლო საპყრობილეში ახალი პატიმრები მოდიოდნენ.

დახვრეტის ადგილზე, სადაც ი. მაკარუხა სხვა პატიმრებთან ერთად მიიყვანეს და საიდანაც მან გაქცევა მოახერხა, ნახა დიდი ორმო, რომელიც სავსე იყო ადამიანთა გვამებით.

როგორც მოწმემ ტ. სულიმმა ილაპარაკა, იგი იყო სრულიად უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრების, ცემისა და დახვრეტის მნახველი. 3 ივლისს მან ნახა, რომ ჰიტლერული არმიის საველე ფორმით გამოწყობილმა ადამიანებმა დახვრიტეს 7 კაცი, რომლებიც გამოიყვანეს იმ შენობიდან, სადაც დაპატიმრებული იყვნენ პოლონეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მან აგრეთვე ილაპარაკა, რომ იყო იმის მოწმე, თუ ჰიტლერელებს როგორ მიჰყავდათ ლვოვის ქუჩებში სამოქალაქო პირთა ჯგუფი — დაახლოებით 800 კაცი. მათ შორის იყვნენ ქალები, ბავშვები და მოხუცები. კონვოირები ესროდნენ ამ ადამიანებს და ფოფის დუმით ხოცავდნენ.

მალე მთელმა ქალაქმა შეიტყო, რომ ლვოვში შევიდა ჯარის ნაწილი, რომელსაც „ნახტიგალს“ უწოდებდნენ. მისი ჯარისკაცები გამოწყობილი იყვნენ გერმანიის არმიის საველე ფორმით და ჰქონდათ განმასხვავებელი ნიშნები. მათი ამოცანა იყო „ქალაქის გაწმენდა არაკეთილსაიმედო ელემენტებისაგან“.

მოწმემ აცნობა, რომ, მისი აზრით, ლვოვში მოსპობილ იქნა რამდენიმე ათასი ადამიანი.

ტელეგრაფი გვაცნობინებს

▲ **ვაშინგტონი,** 22 აპრილი. (საკდესი). დღეს ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი.

▲ **კაირო,** 22 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო.

▲ **ბელგრადი,** 23 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ დაიხურა იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის მეხუთე ყრილობა. დილის სხდომის დასაწყისში სიტყვა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისადმი, წარმოთქვა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრმა ი. ვესელინოვმა.

ყრილობამ მიიღო ახალი წესდება და რეზოლუცია სოციალისტური კავშირის ამოცანების შესახებ და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები: საკავშირო და სარეგიონო კომიტეტები. მოკლე საბოლოო სიტყვა ყრილობაზე წარმოთქვა ი. ბროზ-ტიტომ.

მოსალოდნელია ყაიმი

მოსკოვი. 23 აპრილი. (სპეც. კორ.). **მ. ბოტვინიკისა** და **მ. ტალის მატჩის მეთექვსმეტე პარტია გამოირჩეოდა გონებამახვილური ჩანაფიქრებით, მაღალი ოსტატური ბრძოლით, როგორც შეტევაში, ისე თავდაცვაში. მაყურებლები 5 საათის განმავლობაში დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.**

პარტია დაუმთავრებელი დარჩა, საინტერესოა ვიცოდეთ თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა. ისევე, როგორც მეთოთხმეტე პარტიაში გროსმაისტერმა მ. ტალმა ნიმცოვიჩის დაცვა აირჩია. შესაძლებელია მას სურდა გამეორებინა მოკლე — გროსმაისტერული ყაიმი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს მისი მდგომარეობა აიძულებდა წასულიყო გართულების გზით.

მ. ბოტვინიკმა ამჯერად დებიუტი უფრო ინიციატივიანად გაითამაშა ვიდრე წინა პარტიებში. მე-11 სვლის შემდეგ დაფაზე შეიქმნა პოზიცია, სადაც თეორიულად შავებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდათ. მალე მოწინააღმდეგეებმა ეტლები გაცვალეს. 24-ე სვლიდან ბრძოლა გამოირჩეოდა განსაკუთრებული შეუპოვრობით.

მხედრის ოსტატური მანევრირებით მსოფლიოს ჩემპიონი ლაზიერით მერვე პორიზონტალზე შეიპრა და შავების მეფეს რეალური მუქარა შეუქმნა. რიგელი გროსმაისტერი იშვიათი სიმშვიდით იცავდა თავს. მან 36-ე სვლაზე შეძლო ლაზიერების გაცვლა და ამით შეანელა ბრძოლის სიმძაფრე. შემდეგ კი ენდშპილი თანაბარი აღმოჩნდა.

შესაძლოა მ. ბოტვინიკს, რომელიც ჩვეულებრივად ციტნტაში იმყოფებოდა, ჰქონდა უკეთესი გაგრძელება, მაგრამ ამის დადასტურება შეიძლება დეტალური ანალიზის შემდეგ.

გადადებულ პოზიციაში მხედრების ენდშპილია, სადაც მხარეთა შანსები თანაბარია. მოსალოდნელია ყაიმი. პარტიის დამთავრება მოხდება 24 აპრილს.

ვ. რაგოზინი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

მეთექვსმეტე პარტია

ნიმცოვიჩის დაცვა

მ. ბოტვინიკი (თეთრები) — **მ. ტალი** (შავები)

1. d4 ∂f6 2. c4 e6 3. ∂c3 კb4 4. a3 კc3+ 5. bc ∂e4 6. ლc2 f5 7. ∂h3 d6 8. f3 ∂f6 9. e4 fe 10. fe e5 11. ∂f2 0—0 12. კe2 c5 13. de de 14. 0—0 ∂e6 15. კg5 ლe8 16. ∂d1 ლg6 17. კ:f6 ე:f6 18. ∂e3 ე:f1+ 19. ე:f1 კe6 20. ლd3 ეd8 21. ∂d5 ეf8 22. ∂c7 ე:f1+ 23. კ:f1 ლf7 24. ლd6 კc8 25. ∂a6 ლf4 26. ლd5+ მფh8 27. ლ:c5 კe6 28. ∂c7 კg8 29. ლf2 ლ:e4 30. ∂e3 ლg6 31. ლf8 e4 32. ∂d6 ∂e5 33. c5 ∂d3 34. ∂f5 ∂e5 35. ∂e7 ლf7 36. ლ:f7 კ:f7 37. ∂ηf2 კc4 38. კ:c4 ∂:c4 39. c6 bc 40. ∂:c6 a5. **მ. ბოტვინიკმა ჩაიწერა 41-ე სვლა.**

მ. ტალი



მ. ბოტვინიკი

თეთრები: მფf2, ∂c6, კb: a3, c3, g2. h2;

შავები: მფh8, ∂c4, კb: a5, c4. g7, h7,

„საქართველოს კომუნისტი“ № 4

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი მეთხე ნომერი, რომელიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისადმ.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ალპინისტური განაკი „უშბა“

წელს სვანეთში, მესტიის ახლოს, დაიწყება მაღალმთიანი სასწავლო-საწვრთნელი ალპინისტური ბანაკის „უშბას“ მშენებლობა.

მთებში, ზღვის დონიდან 2.000 მეტრამდე სიმაღლეზე, ლაგურგულის თვალწარმტაც პლატოზე, საიდანაც იშლება საუცხოო ხედი კავკასიონისა, რომლის ცენტრში მოჩანს ამაყი ლამაზი უშბა, აშენდება კეთილმოწყობილი ალპინისტური ბანაკი.

ბანაკს ექნება ოთხი კაპიტალური კორპუსი, რომელთა კონსტრუქციებს მშენებლები დაამზადებენ ასაწყობ მოედანზე ქ. ზუგდიდში, ხოლო მემონტაჟეები ადგილზე აიწყობენ. ასე აიგება მეთოდური კორპუსი, თვითმმსახურების 200-ადგილიანი სასადილო, საწოლი კორპუსი, ბანაკის თავზე მაღლა აღმართული სათვალთვალო კოშკი, რომელშიც მოთავსდება მეტეოროლოგიური სამსახური, რადიოკვანძი და სამეთაურო პუნქტი მასობრივი ალპინისტური ასვლის დროს კავშირის განსახორციელებლად.

მთის ფერდობზე ტერასისებურად განლაგებულ ნათელ და ფართო შენობებს ექნება მაქსიმალურად მომინული ფასადები, მათი სახურავები ამავე დროს იქნება ღია ტერასები თვითეული კორპუსისათვის.

ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა აბანო-სამრეცხაო და საშხაპეები, რომლებიც ცხელ წყალს მიიღებენ მზის სხივების სითბოთი მომუშავე სპეციალური ჰელიდანადგარებიდან.

მომავალ ბანაკამდე შარშან უკვე გაიყვანეს გზატკეცილი. წელს ზაფხულში მომზადებული იქნება ნაკვეთი კარვების ბანაკის მოსაწყობად და კვების ბლოკისა და სასადილოს ასაგებად.

მაღალმთიანი ბანაკის „უშბას“ პროექტის ავტორია ახალგაზრდა თბილისელი არქიტექტორი ფრიდონ ნადარაია. იგი გამოცდილი ალპინისტი, პირველთანრიგოსანი ინსტრუქტორია, რომლის ანგარიშზეა ბევრი გაბედული ასვლა კავკასიონის ძნელადმისაწვდომ მწვერვალებზე.

ს. კილაძე.



ფოტო ავტორისა.

ონონ ბოლ ბოლ

ონონ ბოლ ბოლ ... ეს ... ...